

## მონეალისა და კიოტოს ოქმების საგუთაგად შემუშავება და მიღება

**პარმენ ლემონჯავა —** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
სტუ-ს პროფესორი

**ვალერი ქირია —** ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს  
ასოცირებული პროფესორი

**ლაშა მურჯიქელი —** სტუ-ს დოქტორანტი

შესავალშივე გვინდა ავლიშნოთ, რომ გა-  
რემოს გაჭუჭყიანების დონეზე ეფექტიანი კონ-  
ტროლის განხორციელება საერთაშორისო მას-  
შტაბით პრაქტიკულად შესაძლებელია და  
თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც მიყენებული  
ზიანი რეალურად ხილულია და მისი აცილების  
მიზნით გასაწევი ლონისძიებებისათვის ფინან-  
სური რესურსები არსებობს და მისაწვდომია  
როგორც დაბალი განვითარების, ისე მაღალი  
განვითარების ქვეყნებისათვის. მავნე ნივთიე-  
რებათა ასეთი ეფექტიანი, კონტროლის გა-  
ნევის მიზანშენონილება საერთო მასშტაბით  
ფაქტიურად დაფიქსირდა მონრეალის (კანადა)  
კონვენციის შესაბამისად ქლორფტორნახშირ-  
ბადების (ქვე) კონცენტრაციის არსებობისა და  
გამოყენების უარყოფითი შედეგების გარემოს  
გაჭუჭყიანების დონესთან კავშირის შეცნობით  
და დაფიქსირებით. ანალოგიური კონტროლის  
საკითხი პრაქტიკულად დღის წესრიგში დადგა  
ბენზინის შემადგენლობიდან ტყვიის მინარევის  
გამოყოფის დადებითი შედეგის გაცნობიე-  
რების შედეგადაც. საერთო მასშტაბით, პრობ-  
ლემის ღრმა კვლევით დაინტერესებულ სპე-  
ციალისტ მეცნიერთა ცნობით, 1985 წელს მი-  
ღებული იქნა დედამიწაზე ოზონის ფენის შე-  
ნარჩუნებისათვის ვენის (ავსტრია) საერთაშო-  
რისო მნიშვნელობის კონვენცია, რომელიც და-  
დასტურდა მონრეალში 1987 წელს ჩატარებუ-  
ლი სხდომის ოქმით. 1986 წელს რუსეთი შეუე-  
რთდა ვენის კონვენციას, ხოლო მონრეალის  
კონვენციის გადაწყვეტილები გაიზიარა 1988  
წელს.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ საერთაშორისო შე-  
თანხმებათა მიღწევის მიზანია, მსოფლიო სა-  
ზოგადოებრიობის შეშფოთება დედამიწის  
ოზონური ფენის მდგომარეობის გაუარესებისა  
და პრობლემის გამწვავების გამო, რადგან  
ოზონური ფენა იცავს დედამიწის ზედაპირს მა-  
ვნე ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, ხოლო  
მისი სიჭარე იწვევს ისეთ მავნე შედეგს, რო-  
გორიცაა კანის დაავადებათა რაოდენობის  
ზრდა.

პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ  
1996 წ. მეცნიერები, რომლებიც მუშაობდნენ ამ  
პრობლემაზე, შ. როულანდი (აშშ, კალიფორ-  
ნიის შტატის უნივერსიტეტი), მ. მოლინა (აშშ,  
მასაჩუსეთის, კემბრიჯის ტექნოლოგიური უნი-  
ვერსიტეტი) და პ. კრუტცენი (გერმანიის მაკს  
ბლანკის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი) და-  
ჯილდოვდნენ ნობელის პრემიით, დედამიწის  
ატმოსფეროში ოზონის ნარმოქმნისა და დაშ-  
ლისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა ციკლისათ-  
ვის. ამ მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ მზის  
სხივების ზემოქმედების შედეგად სინთეზური  
ჰალოიდორებული ნახშირწყალბადები იშლები-  
ან ატმომარტილ ქლორის და ბრომის გამოყო-  
ფით, რომლებიც არღვევენ ოზონურ ფენას.<sup>37</sup>

ჯერ კიდევ 1977 წელს, ვენის კონვენციის  
გამოცხადებამდე, შეიქმნა ოზონის ფენის და-  
ცვის საკონრდინაციო კომიტეტი იუნეპთან  
(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარე-  
მოს პროგრამა).

XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა  
და 90-იანი წლების დასაწყისში რიგ ქვეყნებში  
(აშშ, კანადა და სკანდინავიის ქვეყნები) მიღე-  
ბულ იქნა ზომები ქლორფტორნახშირბადების  
გამოყენების ნინააღმდეგ. უპირველესად, მიჩ-  
ნეულ იქნა, რომ უნდა აიკრძალოს დეზოდო-  
რანტებში და კოსმეტიკურ საშუალებებში ოზო-  
ნური ფენის დამშლელი ნივთიერებების გამო-  
ყენება. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყის-  
ში იუნეპის ინიციატივით დაიწყო გლობალური  
კონცეფციის მომზადება, რაც საფუძვლად  
დაედებოდა კონვენციის შექმნას.

ვენის კონვენციის თანახმად, მისი ხელმომ-  
ნერი ქვეყნების ეროვნული პოლიტიკა მიმარ-  
თული უნდა ყოფილიყო პლანეტის ოზონურ  
ფენაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცი-  
რებლად. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონკრე-  
ტული ღონისძიებების ვადები ოზონური ფენის  
დაცვის ღონისძიებებისათვის და რაიმე სანქ-  
ციები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებ-

† რоссия в окружающем мире. Анализический ежегодник, М., 998.

შიც ასეთი ლონისძიებები არაეფექტიანად განხორციელდებოდა, კონვენციაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

1987 წლის მონრეალში 36-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა ოქმის ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებების გამოუყენებლობის შესახებ. ეს საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებდა 1986 წლის დონეზე ხუთი მეტნაკლებად გამოყენებული ქლორფტორნახშირბადების (ქფნ) წარმოების შეწყვეტას. 1993 წლისათვის მათი წარმოება უნდა შეკვეცილიყო 20%-ით, ხოლო 1998 წლისათვის, – 30%-ით.

დღეისათვის მონრეალის ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 184-მა ქვეყანამ. იგი ამჟავდა 1989 წლიდან. მონაწილეები შეთანხმდნენ შეეწყვიტათ ქლორფტორნახშირბადების საკუთარი წარმოება და მოხმარება შვიდი თვის განმავლობაში მონრეალის ოქმის ძალაში შესვლის მომენტიდან და შეემცირებინათ მათი მოხმარება 50%-ით 10 წლის განმავლობაში. მაღალგანვთარებულმა ქვეყნებმა მიიღეს განვადება 10 წლით ხელომონერის დროიდან. ოქმში შევიდა ლონდონის (1990), კოპენჰაგენის (1992), ვენის (1995), მონრეალის (1997), პეკინის (1999) რამდენიმე შესწორება, რომელიც შეეხმირითად რეგულირებადი ნივთიერებების ჩამონათვალის გაფართოებას და სხვა საკითხებს. კერძოდ, ლონდონური შესწორება ეხებოდა მაღალგანვითარებული და დაბალგანვითარებული ქვეყნების ურთიერთმოქმედების პრაქტიკულ მხარეს. კონკრეტულად, განვითარებული ქვეყნების მხრიდან ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. ეს მხარდაჭერა სჭირდებოდათ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს მათ მიერ იქმში ჩაწერილი ვალდებულებების შესასრულებლად.

შეთანხმების საფუძველზე მონრეალის ოქმის ყველა მონაწილე ქვეყანა დაყოფილი იქნა სამ კატეგორიად. პირველ ორ კატეგორიაში შევიდნენ ქვეყნები, რომლებმაც მოაწერეს ხელი შეთანხმებას, მაგრამ განსხვავდებიან ერთ სულ მოსახლეზე ოზონდამშლელი ნივთიერებების წარმოების დონით. პირველ ჯგუფში დაბალგანვითარებული ქვეყნებია, რომლებიც ანარმოებენ ერთ ადამიანზე არაუმეტეს 0,3კგ ოზონდამშლელ ნივთიერებებს. მეორე ჯგუფშია მაღალგანვითარებული ქვეყნები. მათში ოზონდამშლელ ნივთიერებათა წარმოება აღემატება ერთ ადამიანზე 0,3კგ-ს. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან ქვეყნები, რომლებსაც ხელი არ მოუწერიათ მონრეალის ოქმზე. ასეთ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა აქვს,

რადგან შეთანხმება კრძალავს ნებისმიერ სავაჭრო ოპერაციას ოზონდამშლელი ნივთიერებებით ოქმზე ხელმომწერ და არახელმომწერ ქვეყნებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებს შეეძლოთ შეემცირებინათ ოზონდამშლელი ნივთიერებების წარმოება და მოხმარება უფრო გვიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ასე, მაგალითად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებს უნდა შეემცირებინათ ოზონდამშლელ ნივთიერებათა წარმოება 1996 წლის 1-იანვრამდე, ხოლო დაბალგანვითარებულ ქვეყნებს – 10 წლით გვიან.

ინდოეთმა 1992 წლიდან, როდესაც მან ხელი მოაწერა მონრეალის ოქმს, 1995 წლამდე გაზარდა ქლორფტორნახშირბადების წარმოება. ასევე გაზარდა, ოზონდამშლელი ნივთიერებების საკუთარი წარმოება ჩინეთმა. მონრეალის ოქმში იყო ისეთი მუხლები, რომელიც აკანონებდა მხარეთა არათანასწორუფლებიან ვალდებულებებს. ეს ჩანაწერები ოქმში აისწეოდა იმით, რომ თუ არ იქნებოდა ასეთი პირობები, მაშინ დაბალგანვითარებული ქვეყნები არ მოაწერდნენ ხელს ოქმს.

ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ მაღალგანვითარებული ქვეყნები ვალდებული არიან შეიტანონ ფულადი სახსრები სპეციალურ მრავალმხრივ ფონდში, რომელიც აფინანსებს პროექტებს დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ოზონურ ფენაზე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად.

გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონრეალის ოქმით დაფიქსირებულ გადაწყვეტილებებთან ერთად კიოტოს (იაპონია) ოქმში მოცემულ გადაწყვეტილებებსაც.

კიოტოს ოქმით დადასტურებული გადაწყვეტილებები ასახავენ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პათოსს, რომლებმაც მსოფლიო მასშტაბითთავისი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს XX საუკუნის მიჯნაზე.<sup>38</sup> ამ პერიოდში ტრანსნაციონალურ კომპანიებს აღეძრათ სურვილი განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეემცირებიათ წარმოების წარჩენები მსოფლიო არენაზე, რასაც ძლიერი ბიძგი მისცა დაბალი განვითარების ქვეყნების სრულმა თანხმობამ ამ პროცესში ჩართული ყოფილიყო ყველა ტრანსნაციონალური კომპანია.

<sup>2</sup> Грабб М., Вровлик К., Брек Д; Киотский протокол: анализ и интерпретация, М., 2001.

კიოტოს ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩადებულია აზრი, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია გავრცელდეს ეკოლოგიურ პროცესებზეც. ამ ოქმის გადაწყვეტილებები ითვალისწინებს შეიქმნას ნარჩენებით საერთაშორისო ვაჭრობის ბაზარი, იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას გლობალური ეკონომიკური კრიზისის ეკოლოგიური შედეგები.

ენერგორესურსების არარაციონალური მოხმარების შედეგად, ნახშირორუანგის გარემოში ნორმაზე მეტად გაძნევის პრობლემის გადაწყვეტა კიოტოს ოქმის გადაწყვეტილების ძირითადი საკითხია, რაზედაც, პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც მაღალგანვითარებულ, ისე დაბალგანვითარებულ ქვეყნებსაც.

გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემის გაშუქებისას განსაკუთრებით უნდა გაანალიზდეს სასათბურე მეურნეობის, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. რეალურია, რომ დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით, როგორც დაბალი განვითარების, ისე მაღალი განვითარების ქვეყნებში სასათბურე მეურნეობებში ინარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მისი პოზიტიური მხარეა, მაგრამ ამავე დროს, ამ პირობებში სასათბურე მეურნეობიდან გამოყოფილი მავნე აირები შთანთქავენ მინის ზედაპირის გრძელ-ტალღვან გამოსხივებას, რაც ნეგატიურად ცვლის ატმოსფეროს აირების სტრუქტურას. ამ ბუნებრივ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფეროში ნახშირორუანგის შემცველობა, რომელიც გამოიყოფა სასათბურე ჩარჩოებიდან. ნახშირორუანგის კონცენტრაცია ატმოსფეროში, დამტკიცებულია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სტაბილური იყო, მაგრამ ბოლო დროისათვის, მისი შემცველობა საგრძნობლად გაიზარდა. არსებობს მოსაზრება, რომ თუ ატმოსფეროში სათბურების აირების ზრდის ტემპი არ შენელდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სათბურების აირების კონცენტრაცია ატმოსფეროში გაორმავდება და გამოიწვევს ტემპერატურის ზრდას 1,5-4,5°C-ით. ეს განაპირობებს ოკეანის დონის ანევას 30-140 სმ-ით, რისი შედეგიც იქნება ხშირი წვიმების შედეგად მინის ეროზიის ზრდა. ზღვისა და ოკეანის დონეების ანევა აუცილებელს გახდის ნაპირგამაგრების აუცილებლობას, რაც დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არის მოსაზრება, რომ სასათბურე ჩარჩოებიდან ატმოსფეროში აირების ცვლილებამ

შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის არსებითი მიგრაცია პლანეტის მასშტაბით.<sup>39</sup>

ყოველივე ზემოთ დაფიქსირებულმა სიტუაციამ და სხვა კონკრეტულმა მომენტებმა დღის წესრიგში დააყენეს ატმოსფეროში სათბურების ჩარჩოებიდან გამონაყოფი აირების გაუვნებლობის კონვენციის შემუშავების საკითხი. მომზადდა კიდევ სათბურების ჩარჩოების ასეთი კონვენცია, რომელიც 1992 წელს ხელმოწერილ იქნა რიო დე ჟანეიროს (ბრაზილია) სამიტზე. იგი საფუძვლად დაედო კიოტოს ოქმს.

კლიმატის ცვლილების შესახებ სათბურების ჩარჩო - კონვენცია რატიფიცირებული იყო 197 ქვეყანაში. დღეისათვის ამ კონვენციის მომხრეა 190 ქვეყანა, ყველა მაღალი განვითარების ქვეყნის, რუსეთისა და დამოუკიდებელ თანამეგობრობის ქვეყნების ჩათვლით.

ჩამოყალიბებულია ორი სახის სია. პირველ სიაში ჩამოთვლილია მაღალგანვითარებული და სხვა ქვეყნები, რომლებმაც აიღეს პასუხისმგებლობა კონვენციის მთავარი მიზნის მისაღწევად. მათ ივალდებულეს აღკვეთონ ანთროპოგენური ხასიათის მინარევების ატმოსფეროში გაბნევით ნარმოქმნილი ნეგატიური მხარეები. აღნიშნულ სიაში შევიდნენ ძირითადად ის ქვეყნები, რომელთა მიზანია დაბალი განვითარების ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების განევა კიოტოს კონვენციის მიხედვით მათი ვალდებულებების შესასრულებლად.

კიოტოს კონვენციის მიხედვით სათბურების ნეგატიური პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ეკისრებათ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს.

რაც შეეხება იმას, რომ კიოტოს ოქმით, კლიმატის ცვლილების შესახებ სითბურების ჩარჩო კონვენცია გაეროს ორგანიზაციაში შევიდეს, ამისათვის ის რატიფიცირებული უნდა იყოს არანაკლებ 55 ქვეყნის მიერ, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომელთა ნილად 1990 წელს მოდიოდა ნახშირორუანგის - 55 პროცენტი.

ატმოსფეროს სათბურებიდან გამოყოფილი მავნე აირების გაჭუჭყიანების თაობაზე კიოტოს ოქმი ძალაში შევიდა 2004 წელს, მისი რუსეთის მიერ რატიფიკირების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ატმოსფეროში კლიმატის გლობალურ ცვლილებას პირდაპირ ან არა-

<sup>39</sup> ფომინ ბ., ჟიტიცკი ე., Глобальное изменение климата и экономика: современное состояние проблемы. «Мировая экономика и международные отношения», 1999, №6.

პირდაპირ განაპირობებს ადამიანის საქმიანობა, რაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს კლიმატის ბუნებრივ ცვლილებებზე. კიოტოს ოქმით დადასტურებული კონვენცია განსაზღვრავს თითოეული მაღალგანვითარებული ქვეყნის სასათბურე ჩარჩოებიდან აირების გამოყოფის რაოდენობის ნებართვას 2008 წლიდან 2012 წლამდე პერიოდებში. ამ წლების პირველ პერიოდში სათბურებიდან მავნე აირების გამოყოფა 1990 წლის დონესთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 5 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 15-მა ქვეყანამ აიღო ვალდებულება 1990 წელთან შედარებით შემცირებიდან სათბურებიდან მავნე აირების გამოყოფის რაოდენობა 85 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ კიოტოს ოქმით დაფიქსირებული კონვენცია ფლობს ჩარჩო სათბურებიდან გამოყოფილი მავნე აირების შემცირების მეთოდებს და გააჩნია აღკვეთის მოქნილი კონკრეტული მექანიზმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პირველი მავნე ნივთიერებათა ქვოტით ვაჭრობა (მნევ), მეორე, ერთობლივი მეცნიერებული ეფექტიანი პროგრამები (ემგპ), მესამე, სუფთა განვითარების ტექნოლოგიების მექანიზმების (სგტმ) გამოყენება.

სამივე მექანიზმის პრაქტიკულად სრულყოფილად გამოყენება, ჩვენი აზრით, საგრძნობლად შეამცირებს ატმოსფეროში მავნე აირების რაოდენობას და არსებითად ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ;

- გარემოს გაჭუჭყიანების დონეზე ეფექტიანია კონტროლის განხორციელება საერთაშორისო მასშტაბით პრაქტიკულად შესაძლებელია, მისი აცილების მიზნით გასაწევი ღონისძიებებისათვის ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში;
- მავნე ნივთიერებათა ეფექტიანი კონტროლის გაწევის მიზანშეწონილება საერთო მასშტაბით ფაქტიურად დაფიქსრდა მონრეალის (კანადა) კონვენციის შესაბამისად;
- პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ 1996 წელს მეცნიერება, რომლებიც მუშაობდნენ ამ პრობლემაზე, დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით;
- 1989 წელს მონრეალში 36 ქვეყანამ ხელი მოაწერა ოქმს ოზონის ფენის დამშლელი

ნივთიერებების გამოუყენებლობის შესახებ;

- დღეისათვის მონრეალის ოქმის რატიოფიკაცია მოახდინა 184 ქვეყანამ. იგი ამუშავდა 1989 წლიდან;
- შეთანხმების საფუძველზე მონრეალის ოქმის ყველა მონაწილე ქვეყანა დაყოფილი იქნა სამ კატეგორიად;
- გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიოტოს (იაპონია) ოქმში მოცემულ გადაწყვეტილებებსაც;
- კიოტოს ცვლილებების შესახებ სათბურების ჩარჩო-კონვენცია მიღებული და რატიოფიცირებული იქნა 167 ქვეყანაში;
- კიოტოს ოქმით დაფიქსირებული კონვენცია ფლობს ჩარჩო-სათბურებიდან გამოყოფილი მავნე აირების შემცირების მეთოდებს და გააჩნია აღკვეთის სამი მოქნილი კონკრეტული მექანიზმი, რომელთა გამოყენება, ჩვენი აზრით საგრძნობლად შეამცირებს ატმოსფეროში მავნე აირების რაოდენობას და არსებითად ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. ლემონჯავა, ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 2014.
2. პ. ლემონჯავა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ერთიანობა და სპეციფიკურობა, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა 1, 2000წ.
3. თ. ურუშაძე, ვ. ლორია. ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996წ.
4. К.В. Папенов, экономика природопользования, М., 2008г.
5. Россия в окружающем мире: Аналитический ежегодник, М., 1998.
6. Граб М., Вролик К., Броек Д. Киотский протокол: анализ и интерпретация, М., 2001.
7. О государственной промышленной политике России. М., 2003.
8. Варанкин В.В. Методологические вопросы рациональной отценки природных ресурсов. М., 1974г.
9. Фомин Б., Житницкий Е. Глобальное изменение климата и экономика: Современное состояние проблемы. «Мировая экономика и международные отношения», 1999г., №6.